ადლიის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის ოქმი №6-3

ქ. ბათუმი, **16 დეკემბერი, 2011 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

თენგიზ პეტრიძე - სატენდერო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ.

სხდომას არ ესწრებოდა: დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე, რომელიც იმყოფება კუთვნილ შვებულებაში (ქ. ბათუმის მერის ბრძანება №3/1255, 06.12.2011).

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, ადლიის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 29 ნოემბერს გამოცხადებულ N219 კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის სს „აჭარკაპმშენის“ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, მოთხოვნის შესაბამისად, დასახელებულ კონკურსში გამარჯვებულმა სს „აჭარკაპმშენმა“ წარმოადგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა

რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; ბ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ; გ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან; დ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან (საგადასახადოდან) ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.

კომისიამ დაადგინა:

1. სს „აჭარკაპმშენის" მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

2. გაფორმდეს სს „აჭარკაპმშენთან" სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა სს „აჭარკაპმშენისათვის" არაუგვიანეს 16 დეკემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის წევრები: არჩილ ვანაძე

თენგიზ პეტრიძე

ვლადიმერ ხინთიბიძე